დასკვნა

ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 25.09 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (კ.ნ. - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტებთან, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტთან, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ" ქვეპუნქტთან და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი" ქვეპუნქტთან, რომელთა თანახმადაც მერის წარდგინებით საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა და მიიღოს გადაწყვეტილება ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სტატუსისა და გასხვისების შესახებ.

ზემოაღნიშნული განკარგულების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი: *ბიძინა გიგოლაშვილი*